პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 146 (11757) | შაბათი, 25 ივნისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილის** მოხსენება სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი გ. დ. ჯავახიშვილი. ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

★ ★ ★

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

შესანიშნავ დღეებში, როცა რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ამბები ხდება, სახალხო ზეიმის დროს მთავრობის სახლზე ფრიალებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი.

24 ივნისს სახელმწიფო ალამი აღიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ გაიხსნა საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ დეპუტატები — სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების მუშები და ხელმძღვანელები, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. დარბაზში ბევრია სტუმარი.

სესია მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მოხსენებით, რომელიც კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დიდი წვლილია კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში, მხურვალედ ისწრაფვიან, რათა შვიდწლედის მეორე წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით იმ მაღალ ვალდებულებათა განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დიდი წვლილია კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში, მხურვალედ ისწრაფვიან, რათა შვიდწლედის მეორე წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით იმ მაღალ ვალდებულებათა განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დიდი წვლილია კომუნისტური მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სესია მოწვეულია ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დგანან, ემზადებიან ახალი თავდადებული საქმეებით სამშობლოს სასახელოდ აღნიშნონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები შეიკრიბნენ, რათა განიხილონ და გადაჭრან უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები.

დალის 10 საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ვ. მ. სირაძე, მ. ხ. ბაქრაძე, ხ. ხ. ლღაძგა, ე. ბ. გუბინა.**

მთავრობის ლოჟებში არიან **ვ. ბ. მესამანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ხ. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქაღალიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, შ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭაპა, მ. მ. ელესაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე.** მთავრობის ლოჟებში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

მტკიცდება სესიის დღის წესრიგი და მიხი მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად დასმულია შემდეგი საკითხები:

1. სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.
2. საქართველოს სსრ სახამართლოწყობილების კანონის პროექტი.
3. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა გამოწვევის წესის კანონის პროექტი.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სესია იწყებს დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას.

სიტყვა მოხსენებისათვის სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილს.**

შემდეგ უმაღლესი საბჭო იწყებს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების განხილვას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: **ვ. ზ. თოხაძემ** (შემოქმედის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), **ა. გ. ბაბიაშვილმა** (იყალთოს საარჩევნო ოლქი, თელავის რაიონი), **ბ. ვ. შინკუბამ** (ტამიშის საარჩევნო ოლქი, ოჩამჩირის რაიონი), **რ. მ. კომპახიძემ** (ზღვისპირა საარჩევნო ოლქი, ქალაქი ბათუმი), **დ. ი. ჩხიკვიშვილმა** (გომის საარჩევნო ოლქი, სამტრედიის რაიონი), **ბოგდანოვკის** რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარემ **უ. ა. კაზარიანმა, ლაგოდეხის** რაიონის აფენის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. მ. მეტრიველმა,** დეპუტატმა **ბ. ვ. ბაგაშვიძემ** (წყალტუბოს საქალაქო საარჩევნო ოლქი, წყალტუბოს რაიონი).

ამით მთავრდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის 24 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილის** მოხსენების გამო — სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** დეპუტატები **ვ. უ. ესპართია** (ნარაზენის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), **ვ. ბ. სანაკოევი** (სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი, სტალინირის რაიონი), ბათუმის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ქ. მ. ფალავა,** ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. პ. ბალათურია,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ვ. ვ. მირიანაშვილი,** დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების მუჭადიჯვრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ღ. კ. შაბურიშვილი,** დეპუტატები **თ. ს. შაორშაძე** (არგვეთის საარჩევნო ოლქი, საჩხერის რაიონი), **მ. ე. თოფურიძე** (თამაკონის საარჩევნო ოლქი, გეგეჭკორის რაიონი), **შ. ა. ბაპანაძე** (ქვედა საქარის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

დღეს, 25 ივნისს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

მთავროგის ჯილდოების გადაცემა

23 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის ჯილდოები გადაეცათ კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვერლის წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეებს, წარმოების ნოვატორებს, რომელნიც დაჯილდოებული არიან წარმატებებისათვის, რაც მიიწეულია კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვრელის წოდებისათვის შეჯიბრებაში, აგრეთვე ძვირფას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შეტანისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და წარმოების ზრდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **ზ. ბ. გელდიაშვილმა** წაიკითხა ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ს. ძოწენიძემ** მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადასცა თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსს **გ. ვ. აზალაძეს,** 26 კომისრის სახელობის თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატს **ა. კ. ბაღდასაროვს,** ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზენკალს **გ. შ. ჩადუნელს** და სხვებს, სულ 9 დაჯილდოებულს.

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ გადაეცათ თბილისის ამრეშუმაქსოვი ფაბრიკის მქსოველს **თ. ნ. ლადეძეს,** თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დამფასოვებელთა ბრიგადირს **ლ. შ. ნატროშვილსა** და თბილისის კონიაკის ქარხნის ჩამომსხმელს **ნ. ვ. ხაჭაპურიძეს.**

ამ დღეს მედლები „ხანძრის დროს მამაცობისათვის“ გადაეცათ იმ პირთა, რომელნიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე ხანძრის ჩაქრობის დროს მამაცობისა და თავდადების გამოჩენისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამაგალითო სიგელები მიიღეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრებმა, რომელნიც დაჯილდოებული არიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისა და თავიანთ ვალდებულებათა სანიმუშო შესრულებისათვის, მათ შორის თბილისის ბამბის სართავი ფაბრიკის სართავი საამქროს ინსტრუქტორმა **ნ. ა. ჯანუაშვილმა,** თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მექანიკოსმა **ხ. ა. მაისურაძემ,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა **პ. პ. ჭკადუამ** და სხვებმა.

ამხ. ძოწენიძემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელი გადასცა სტალინის სახელობის ორთოქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ეკადრების გახეოფილების ყოფილ უფროს ინჟინერს **ნ. ზ. ლოლაძეს,** რომელიც დაჯილდოებულია მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელი გადაეცა საქართველოს მოხარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დირექტორს **ნ. ვ. კიტიას.**

ამხ. ძოწენიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა ახალი დიდი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშაობაში. (საქდესი).

ქართველი მსახიობების წარმატება კუბაში

ჰავანა, 24 ივნისი. (საქდესი). ჰავანის თეატრ „აუდიტორიუმში“ დაიწყო საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები. საბჭოთა მსახიობების პირველმა გამოსვლამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვი, 24 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). რუსთაველის სახელობის თეატრი განაგრძობს გასტროლებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში. დღეს ვახტანგოვის სახელობის თეატრში აჩვენეს რეპერტუარის რიცხვით მეოთხე დადგმა — შექსპირის „ოტელო“.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც „ოტელო“ არ შორდება რუსთაველს სახელობის თეატრის სცენას. ოტელოსა და იაგოს როლების შემსრულებლებმა საბჭოთა სცენის თვალსაჩინო ოსტატებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ა. ხორავამ და ა. ვასაძემ მკაფიო ფერცელი ჩასწერეს მრავალეროვანი საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში. მოსკოველებს დღეს პირველად როდი უნახავთ ეს სპექტაკლი. ვახტანგოვის თეატრს ახლოს თბილისელების გასტროლები 12 წლის წინათ, როცა „ოტელომ“ თეატრალური მოსკოვის ყოველ მოყოდინს გადაუჭარბა.

სპექტაკლი „ოტელო“ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა შ. ალსაბაძემ და სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, მხატვრები არიან საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ი. გამრეკელი და დ. თავაძე. დღეს მთავარი როლები შეასრულეს ა. ხორავამ, ა. ვასაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ჩიხლაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ნ. მგალობლიშვილმა, თ. ბაქრაძემ, კ. მახარაძემ და სხვებმა. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. მაყურებლებმა რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზე მონაწილენი, მიართვეს ყვავილთა თაიგულები.

რ. პრასადი ლენინგრადში

ლენინგრადი, 23 ივნისი. (საქდესი). დღეს ლენინგრადელები შეხვდნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რაჯენდრა პრასადს, რომელმაც დაიწყო მოგზაურობა საბჭოთა ქვეყანაში.

სპეციალ სტუმარს გულთბილად მიესალმა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი.

სალამურ სიტყვაში რაჯენდრა პრასადმა განაცხადა:

— ბედნიერი ვარ, აქ რომ ჩამოვედი. ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა დღითიდღე განმტკიცდება. თუ შეიძლები და ჩემი წვლილი შეიტანე ამ მეგობრობის განმტკიცებაში, ძალიან ბედნიერი ვიქნები. ჩვენს ქვეყნებს საერთო მიზნები აქვთ. ჩვენ ვისწრაფვით ავამაღლოთ ჩვენი ხალხების ცხოვრების დონე. ჩვენი წვლილი შეიტანოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი და მისი თანამგზავრები დღეს იცნობოდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა

დოქტორ უილიამ ე. ბ. დიუბუას

დოქტორ უილიამ ე. ბ. დიუბუას.

პატივცემულო დოქტორო დიუბუა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის თქვენთვის გადმოცემის გამო ნება მიბოძეთ სულითა და გულით მოგილოცოთ და გისურვოთ შემდგომი წარმატება თქვენს დაუღალავ მოღვაწეობაში მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ. გისურვებთ აგრეთვე ახალ შემოქმედებით მიღწევებს თქვენს ნაყოფიერ მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობაში, რამაც ფართო აღიარება ჰპოვა.

გულწრფელი პატივისცემით ნ. ხრუშჩოვი.

ნ. ერუს პრეს-კონფერენცია

დელი, 24 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს პრეს-კონფერენცია.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი წარმოადგენენ კონსტრუქციულ და სასარგებლო მიდგომას ამ საკითხისადმი და მიზნად აქვთ ნამდვილი განიარაღება. ეს წინადადებანი, ერთხელ კიდევ აღნიშნა ნერუმ, მოწმობენ საბჭოთა კავშირის პატიოსნურ მიდგომას განიარაღების საკითხისადმი.

განიარაღება, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საფუძველია.

უპასუხა რა კითხვაზე საბჭოთა კავშირში მისი გამგზავრების ვადის შესახებ, ნერუმ განაცხადა, რომ მან მიიღო ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევა ესტუმრა საბჭოთა კავშირს, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში იყო. მაგრამ ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა მას ამჟამად არ შეუძლია.

ჯ. ალენის იძულებითი აღიარება

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ჯ. ალენი, რომელიც სენატის ასიგნებათა ქვეკომისიაში გამოვიდა, იძულებული გახდა ელიარებინა, რომ მიუხედავად სააგენტოს უდიდესი ხარჯისა საზღვარგარეთ პროპაგანდისათვის, შეერთებული შტატები ვერ ებრძვიან საერთაშორისო ბრძოლას ადამიანთა გონებისათვის.

პასუხად ალენის მოთხოვნისა გაედიდებინათ ასიგნებანი საინფორმაციო სააგენტოს საქმიანობისათვის, სენატორმა ა. ელენდერმა (დემოკრატი ლუზიანას შტატიდან) გაჯავრებით განაცხადა: „გამოდის, რომ, რაც მეტ ფულს ვხარჯავთ, მით უფრო ცუდ მდგომარეობაში ვვარდებით“.

სენატორმა გ. დვორშაკმა (რესპუბლიკელი აიდაჰოს შტატიდან) შენიშნა, რომ ფაქტები, როგორც ჩანს, ამბობენ საზღვარგარეთ ინფორმაციის გაცვლის დარგში ამერიკის შეერთებული შტატების მიღწევათა შესახებ ალენის მიერ მომზადებულ განცხადებათა მეტ ნაწილს. „ვიყოთ ამ მხრივ რეალისტები, — თქვა მან. — მტრობა შეერთებული შტატებისადმი მთელ მსოფლიოში ძლიერდება“.

მ. ტორეზის შეკითხვა დეგრეს

პარიზი, 24 ივნისი. (საქდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობამ გადაწყვიტა იძულებით მოიყვანოს ტრანსპორტის მუშაკები სამუშაოზე გაფიცვის შემთხვევაში, საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატმა მ. ტორეზმა პრემიერ-მინისტრ დეგრეს გაუგზავნა წერილობითი შეკითხვა. მ. ტორეზი მთავრობის მეთაურისაგან მოითხოვს ახსნა-განმარტებას კონსტიტუციისა და მშრომელთა გაფიცვების უფლების დარღვევის გამო, აგრეთვე მთავრობის ამ ანტიდემოკრატიული გადწყვეტილების გაუქმებას და პარიზის საქალაქო ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კონგოს მთავროგის მეთაურის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან (ბელგიის კონგო) იუწყება, კონგოს პრემიერ-მინისტრმა ლუმუმბამ, რომელმაც გუშინ მთავრობა ჩამოაყალიბა, კონგოს პარლამენტში გააკეთა განცხადება მთავრობის პროგრამის შესახებ. დამოუკიდებელი კონგო, თქვა მან, არ შევა არც ერთ ბლოკში. ჩვენ გვსურს, ხაზგასმით აღნიშნა ლუმუმბამ, განვამტკიცოთ მეგობრული ვითარება ყველა ქვეყანასთან. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოლებთ თავისუფლებისათვის...“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომათა დარბაზში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბოლო სესიიდან განვლილი პერიოდის თითქმის ყოველი დღე აღსავსეა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებით. მარქსიზმ-ლენინიზმის მძლავრი შუქით სხივმოსილ გზაზე ამაყად მიაბიჯებს წინ კომუნიზმისაკენ საბჭოთა ადამიანი, კაცობრიობის დიადი გაზაფხულის მეკვლე.

კომუნიზმის აჩრდილი, რომელიც ასი წლის წინათ ევროპაში დადიოდა და მისი შემჩნევა მხოლოდ დიდმა გენიოსებმა მარქსმა და ენგელსმა შეძლეს, ახლა აჩრდილი კი არა, კუნთმაგარი სინამდვილეა და უკვე მას ყოველდღე, ყოველ საათს ვხედავთ ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მის ყოველ საქმეში.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მიღწევებზე, მის ნამაგარზე მშვიდობიან შრომაში დღეს ლაპარაკობს მტერიცა და მოყვარეც. საბჭოთა ადამიანის ხელით გაკეთებულმა ტექნიკის საკვირველებებმა მსოფლიო გააოცეს. უკვე შესამე წელიწადია ჩვენს მეცნიერებას იერიში მიაქვს ზეცაში და სასწაულებს ახდენს კოსმოსის დაპყრობის საქმეში.

მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები ერთხმად უკრავდნენ ტაშს საბჭოთა მთავრობის მეთაურის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე და მის გამოსვლას კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე. ნიკიტა სერგეისძე ხრუშჩოვმა საქვეყნოდ ამხილა ომის გამჩაღებელთა ვერაგული ზრახვები, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხროვის პროვოკაციული მოქმედება.

საბჭოთა მთავრობის მტკიცე სამშვიდობო პოზიციას პარიზის თათბირზე ერთხმად იწონებდნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ადამიანები, მომმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, არამედ ბურჟუაზიული ქვეყნების პროგრესული ადამიანებიც. კიდევ მეტი, თვით ამერიკელი ხალხის უმრავლესობამ დაგმო საკუთარი მთავრობის აგრესიული ავანტიურა.

საზოგადოების განვითარების დიალექტიკა ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. რაც უფრო მეტ ავანტიურებს ჩაიდენენ აგრესიული ძალები ჩვენი და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ, რამდენადაც გამოაჩენენ ცხვრის ქურქში გამოწყობილი მგლები თავიანთ ნამდვილ მგლურ სახეს, იმდენად მეტად ზრდიან ისინი მშვიდობის მომხრეთა ძალებს, იმდენად ფხიზლად და მაგრად მოჰკიდებენ ეს ძალები ხელს მშვიდობის დაცვის საქმეს. აგრესიის ძალთა საქმე განწირულია ჩასაფშვავად.

საბჭოთა ხალხი ამერიკელ ხელისუფალთა მშვიდობის საწინააღმდეგო პოლიტიკის სასაუხოდ კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება თავისი მშობლიური პარტიის გარშემო, უფრო მეტი ენთუზიაზმით შრომობს და ახალახალ წარმატებებს აღწევს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

როცა ამერიკელი იმპერიალისტები გამალებულ შეიარაღებაში არიან. ქმნიან სამხედრო ბლოკებს, აწყობენ განგაშებს და ამზადებენ ახალ დამანგრეველ ომს, საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის დიადი იდეების საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებულნი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაუღალავად ეწევიან მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება უდიდესი სოციალური გარდაქმნები: მოკლდება სამუშაო დღე, უქმდება მოსახლეობის გადასახადები, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უფრო ლამაზი გახდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, კიდევ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. კომუნიზმი ჩვენი დღეების რეალური სინამდვილე ხდება.

როცა იქ, ოკეანის გაღმა, სუფევს ომის ფსიქოზი, ჩვენთან კრემლის დიდ დარბაზში პარტია და მთავრობა ატარებენ კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების. ქალაქთმშენებლების თუ სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა და სპეციალისტების თათბირებს, სადაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მსჯელობენ ქვეყნის შენებაზე, ხალხთა კეთილდღეობაზე. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც დღეს საქვეყნოდ უწოდებენ მომავლის მზეკრავებს, ვინც ახლებურად აწყობს შრომას, ვინც ენერგიის დაუშურებლად სულ მუდამ ახლის ძიებაშია, რომ უკეთ მოეწყოს ხალხთა ცხოვრება, რომ უკეთ აშენდეს ქალაქები თუ სოფლები, კლუბები თუ ბაღები. და ყოველივე ამით ისინი აახლოებენ საბჭოთა ხალხის წინსვლას კომუნიზმისაკენ და შეაქვთ საკუთარი წვლილი ჩვენი სამშობლოს ძლიერებაში.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი ქვეყანა მძლავრი აღმავლობის გზაზეა. სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამა, რომლის რეალობაზეც კაპიტალიზმის მესვეურები ეჭვს გამოთქვამდნენ, არამც თუ რეალურია, არამედ ბრწყინვალედაც ხორციელდება.

პირველი შედეგები გვიჩვენებენ, რომ შვიდწლედი ჩვენმა ხალხმა კარგად დაიწყო. შვიდწლედის პირველი წლის დაჯილდებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმატებით განხორციელდა. კიდევ უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება შვიდწლედის მეორე წელს, რასაც მოწმობს მიმდინარე წლის ხუთი თვის შედეგები. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად არნახული ტემპით ვითარდება საქალაქო, კომუნალური და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობა. მარტო 1959-1960 წლებში აშენდება 180 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. ორ წელიწადში თითქმის იმდენი, რამდენიც მთლიანად რევოლუციამდელ რუსეთში იყო. შესანიშნავი წარმატებებია მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი და დიდი მიღწევები მოიპოვეს შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებაში. ასევე წარმატებით ახორციელებენ შვიდწლედის მეორე წლის ამოცანებსაც. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, წელს ჩვენმა კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა თავდადებული მუშაობით ორგანიზებულად ჩაატარეს საგაზაფხულო სამუშაოები. კარგად მიმდინარეობს ჩაის კრეფის, პურეულის მოსავლის აღების, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება. და ყოველივე ეს იმის საწინდარია, რომ ვალდებულებანი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა აიღეს, წარმატებით იქნება განაღდებული.

ამხანაგო დეპუტატებო!

კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამის განხორციელების საქმეში ადგილობრივ საბჭოებს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ენიჭება ადგილობრივ საბჭოებს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები საბჭოთა ხალხის დიდი მოსაპოვარია. აჯანყების ორგანოდან, რაც ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე იყო, იგი ხელისუფლების ორგანოდ იქცა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებში დიდ იმედებს ამყარებდა საბჭოებზე, რომელნიც შეძლებდნენ „შრომელი ხალხის დარაზმვას ძველი ჩამორჩენილი ქვეყნის სოციალისტურ ქვეყნად გარდაქმნისათვის. ისტორიის გამოცდილებამ საკმაოდ დაადასტურა დიდი ლენინის ეს გენიალური წინასწარხედვა. საბჭოები გადაიქცნენ მშრომელთა ყოვლისმომცველ მასობრივ ორგანიზაციად, სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე დემოკრატიულ ფორმად, რომელმაც უზრუნველყო ის, რომ „ხალხი თუმცა და უცილობელ, ამასთან „დამწყვეტ მონაწილეობას იღებდეს სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 28, გვ. 287).

ღღეს, ისე როგორც არასოდეს, უდიდესი როლი ენიჭება საბჭოებს ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო მართვის საქმეში, რადგან ჩვენს დროში პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელია ერთმანეთისაგან. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციას. სულ უფრო და უფრო მეტი უფლებები ენიჭება სოფლებს, რაიონულ, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს. ასეთ ვითარებაში ადგილობრივი საბჭოები წარმოადგენენ სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის ძირითად ამოცანათა განხორციელების მძლავრ იარაღს. საბჭოები მოწოდებული არიან იყონ მასების შრომითი შემოქმედების სათავეში. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ისინი აღგილებზე უნდა გახდნენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელების მთავარი ორგანიზატორები. ითვალისწინებდნენ რა ყოველივე ამას, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ სესიაზე განსახილველად შემოიტანეს საკითხი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ შვიდწლედ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობამ სწორად გაიგო მათ წინაშე დასახული ამოცანები და კარგ შედეგებსაც აღწევს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საბჭოები მეტ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს, უფრო განამტკიცებენ და აფართოებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან. დიდად გაიზარდა საბჭოების ავტორიტეტი მასებში და ისინი გადაიქცნენ დიდ მაორგანიზებელ ძალად. მათ უნარი შესწევთ სათავეში ჩაუდგნენ სამეურნეო-კულტურულ მშენებლობას და უზრუნველყონ მისი შემდგომი აღმავლობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი შემდგომი წინსვლის, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად თვლიან სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომ აღმავლობას. ამიტომ ადგილობრივი საბჭოების მთავარ საზრუნავს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნა, მისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-განვითარება და სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის ყოველმხრივ ამაღლება.

სოფლის მეურნეობაში მოპოვებული მიღწევები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს დღევანდელი ვითარების გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და საქალაქო საბჭოები მოვალენი არიან უფრო მეტი პასუხისმგებლობა იკისრონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ადგილობრივი საბჭოები, მათ გარშემო დარაზმული საბჭოთა აქტივის მრავალრიცხოვანი არმია დაუღალავად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, თანმიმდევრულად იბრძვიან საზოგადოებრივ შრომაში ყველა ადამიანის აქტიურად ჩაბმისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში კარგი შედეგებია.

მაგალითისათვის ავიღოთ სიღნაღის რაიონი. აქ რაისაბჭო და სასოფლო საბჭოები განსაკუთრებულ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. სასოფლო საბჭოს სესიაზე და აღმასკომზე ხშირად მსჯელობენ ამ საკითხების შესახებ და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად იღებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს. შარშან ამ რაიონის ერთმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საშუალოდ 32 შრომადღეი მეტი გამოიმუშავა, ვიდრე 1958 წელს. შრომისუნარიან კოლმეურნეთა შრომადღეების გამომუშავება ასევე მაღალია წითელწყაროს, მახარაძის და მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც ადგილობრივი საბჭოები აქტიურად ეხმარებიან კოლმეურნეობებს.

მაგრამ ხშირად ამ მნიშვნელოვან საკითხს ადგილობრივი საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები უგულებელყოფენ, რასაც ცუდი შედეგი მოაქვს. მაგალითად, ყვარელის რაიონს საერთოდ ცუდი მაჩვენებელი როდი აქვს, მაგრამ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. წლიური ანგარიშების მონაცემებით ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში შარშან საშუალოდ ერთი კოლმეურნის მიერ შრომადღეების გამომუშავება კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. ამ რაიონის შრომისუნარიან კოლმეურნეთა თითქმის მეოთხედს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია, ხოლო ყოველი მეექვსე-მეშვიდე შრომისუნარიანი კოლმეურნე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს საკოლმეურნეო საქმიანობაში. ამავე დროს კი სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო არტელის ყველა შეღავათით, მათ შორის საკარმიდამო მიწის ნაკვეთებით.

მსგავსი მდგომარეობაა აგრეთვე აბაშის, მაიაკოვსკის, ახალქალაქის, ბორჯომის, ღმანისის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ სასოფლო საბჭო განზე უდგას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეს. ჩვენ გვაქვს მრავალი ფაქტი, რომ სასოფლო საბჭოები მათ ტერიტორიაზე არსებულ კოლმეურნეობებს დახმარებას არ უწევენ ამ საქმეში. ლენინგორის რაიონის სოფელ ბოლის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. სადაც შრომის დისციპლინა ძლიერ დაბალია, სასოფლო საბჭოს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ საკითხებზე ერთხელაც არ უმსჯელია.. და ამიტომაც სოფლად-ცოტა როდია თავისუფლად მოსეირნე პირები. ვინ უნდა შექმნას ასეთი პირობები სამი საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ატმოსფერო, თუ არა სასოფლო საბჭომ? საჭიროა სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობები ხელიხელჩაჯიდებული მუშაობდნენ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კოლმეურნეთა პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპი. ამიტომ აუცილებელია მტკიცედ დავიცვათ იგი. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ყოველივე ამას მხედველობიდან უშვებს, იგი მინდობილია კოლმეურნეობათა საანგარიშო დარგის მუშაკებზე, ან კიდევ ზოგან კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა ვიწრო წრის ნებასურვილზე, რასაც ზოგჯერ ცუდი შედეგები მოაქვს. მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში გასულ წელს კაპიტალურ დაბანდებაზე გადახარჯეს მთელი ფულადი შემოსავლის 29 პროცენტამდე, ამავე დროს კოლმეურნეთა ერთ ნაწილზე ზედმეტი ავანსირებით გაცემულია 800 ათასი მანეთი, ყოველივე ამან ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობა შექმნა. რაიონის კოლმეურნეებს პირველი აპრილისთვისაც არ ჰქონდათ მიღებული გასულ წელს გამომუშავებული შრომადღეების ფულადი სახლიურის 40 პროცენტი. საინტერესოა, რა პირით წარსდგებიან აღნიშნული რაიონის აღგილობრივი საბჭოების დეპუტატები ამომრჩეველთა წინაშე. როცა ისინი ხალხს ანგარიშს ჩააბარებენ.

მსგავსი მდგომარეობა სხვა რაიონებშიც არის. კერძოდ აბაშის, ყვარლის, ოჩამჩირის, ახალქალაქის, ბორჯომის და ზოგიერთ სხვა რაიონში. ამას ემატება ისიც, რომ ბევრგან არ ხორციელდება კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება. სავალალო ის არის, რომ ბევრი სასოფლო საბჭო ურიგდება ასეთ ნაკლოვანებებს და ვერ იყენებს მათთვის დებულებით მინიჭებულ უფლებებს.

საბავშვო ბაღების, ჩვილ ბავშვთა ბაგების შექმნა სოფლად დიდად უწყობს ხელს საყოველთაო სამეურნეო შრომაში ქალთა აქტიურ მონაწილეობას. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ცუდად არა დგას და ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ შრომაში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ადგილობრივი საბჭო უყურადღებობას იჩენს საბავშვო დაწესებულებების შექმნისადმი. კიდევ მეტი, რესპუბლიკაში არის 22 ისეთი რაიონი, სადაც გასულ წელს არცერთ კოლმეურნეობაში არ იყო მოწყობილი ბაგები და ბაღები. მათ რიცხვში არიან ხობის, თერჯოლის, კასპის, დუშეთის და სხვა რაიონები.

არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან საბავშვო დაწესებულებების მოწყობის საქმეს. მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში საბავშვო ბაღი მოწყობილია უგარგის შენობაში, ცუდად არის ორგანიზებული ბავშვების კვება. მიმდინარე წლის 5 თვეში ამ ბაღის 16 ბავშვის მომვლელებს კოლმეურნეობიდან დაერიცხათ 278 შრომადღე, ხოლო ბავშვების დედებს გამომუშავებული აქვთ 12 შრომადღე. ეს ფაქტი ბევრ რამეზე ლაპარაკობს, თუკი მას მცხეთელი ამხანაგები ჩაუფიქრდებიან.

შვიდწლედის გრანდიოზულმა პროგრამამ ჩვენს საზოგადოებაში გამოიწვია სოციალისტური შეჯიბრების არნახული აღმავლობა. უკვე წელს მეტია წარმოიშვა ჩვენი დროის შესანიშნავი მოვლენა — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა. ეს მოძრაობა განასახიერებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მრავალი წლის მანძილზე შეიმუშავა სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკამ.

იქ, სადაც აღგილობრივი საბჭოები, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, სისტემატურად, საქმის ცოდნით, ცოცხლად წარმართავენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მუშაობის შედეგებიც ჩინებულია. სადაც სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ არის გაშლილი და უზრუნველყოფილია მისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობა, იქ არ არსებობს ცუდი ამინდის სიძნელეები. სწორედ ამით მიაღწიეს პირველ წარმატებებს მახარაძის, ქობულეთის, გორის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელებმა. დასახელებულ რაიონებში წელს სრულ აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა თესვა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები.

მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება იმ რაიონებზე, რომლებიც თავიანთი ჩამორჩენის გასამართლებლად სუსხსა და წვიმას ამოეთარნენ, და ამის მაგალითები, სამწუხაროდ, ცოტა როდია.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა სოფლად ისე უნდა მოეწყოს, რომ საერთო აღმავლობას მიაღწიოს არა ერთმა და ორმა კოლმეურნეობამ, არამედ მთელმა რაიონმა.

ადგილობრივი საბჭოების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოფლად მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გზით. უკანასკნელ დროს მექანიზებული ხდება არა მარტო ერთი სახეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არამედ მთელი დარგი. დაიწყო სოფლის მეურნეობაში სრული კომპლექსური მექანიზაციის პერიოდი.

ქარელის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გიორგი სიხაშვილი, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოწინავე მექანიზატორის გიტალოვის გამოცდილებას, ნერგავს საკოლმეურნეო წარმოებაში კომპლექსურ მექანიზაციას. მან გასულ წელს 100 ჰექტარზე დათესა სიმინდი და ყველა სამუშაო მექანიზაციით შეასრულა. ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 35 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ამ სამუშაოზე კოლმეურნეობაში დაიხარჯა ხუთჯერ უფრო ნაკლები შრომადღეები და ერთი ცენტნერი სიმინდის წარმოება დაჯდა ხუთჯერ ნაკლები, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

სოფლის მეურნეობის სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციის საქმეში დიდი წარმატება მოიპოვა ცნობილი მექანიზატორის, სოციალისტური შრომის გმირის ნიკოლოზ მანუკოვსკის მიმდევარმა საგარეჯოს რაიონიდან მიხეილ გიბიშვილმა. სად უნდა ვიძებოთ ამ ამხანაგების მიერ მექანიზაციის დარგში მოპოვებული საიდუმლოება? განა სხვა რაიონებში არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, არ არიან ინიციატივიანი ადამიანები? რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მოიპოვება, არის სათანადო პირობებიც, რომ ყველგან გაჩნდნენ ასეთი ადამიანები. საჭიროა მხოლოდ მათი დროულად შემჩნევა, მათი წახალისება და სათანადო პირობების შექმნა.

ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკაში მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვისათვის. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას. თუ წინათ, როგორც იტყვიან, თითებზე იყო ჩამოსათვლელი მოწინავე ადამიანები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა, ახლა მარტო სოფლის მეურნეობის ნოვატორთა დასასახელებლად მთელი სტატისტიკაა საჭირო. ამ ადამიანების შრომას ბაძავენ ათასები და ასიათასები. ადამიანთა საზოგადოებაში ღირებულება მხოლოდ შრომის პროდუქტებს აქვს და არაფერი არ არის იმაზე ლამაზი, ვიდრე თვით შრომა, შრომის ეს სილამაზე ისე არაფერში არა ჩანს, როგორც ჩვენი სახელოვანი ნოვატორების — მეჩაიეების თუ მეევნახეების, მეგაღეების თუ მგთამბაქოეების, მეცხოველეების თუ მეგბრეშუმეების და სხვათა საქმიანობაში. ვინ არ იცნობს ქართველ მოწინავე მეჩაიეებს — თამარ ყუფუნიას, ღარეჯან ტაკიძეს, ნაირა გოგატაძეს, ტიანა ტყებუჩავას, მოწინავე მევენახეებს — ალექსი მექვევრიშვილს, მიხეილ მარჩილაშვილს, ცნობილ მესიმინდეებს — ჩოქოლი ქვაჩახიას, კოტე სანდუხაძეს, მექანიზატორ გიორგი თინამეულს, მოწინავე მეცხვარეს გიორგი ჩალაბაშვილს, მწველავ სოფიო დოლიბაშვილს, მეღორეს დავით სეფიაშვილს და სხვა მრავალს.

ამოცანა ის არის, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა დაუცხრომლად იბრძოლონ ყოველივე ახლის, სასარგებლოს და მოწინავის, მომავლის მქონის ძანერგვისათვის. ყველგან და ყოველთვის ეიყოთ რეზერვების ძიებაში, მათს ამოქმედებაში. დავრაზმოთ მშრომელები მოწინავეთა მაგალითზე, ვასწავლოთ მათ წარმატების მოპოვება.

ამხანაგო დეპუტატებო!

ახლა მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ უაღრესად დიდ როლსა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც აკისრია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს სოფლად მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში.

დღეს თვითონ ხალხი, ადგილობრივი საბჭოები წყვეტენ ამ საკითხებს. სულ უფრო და უფრო იჩენს თავს მასების ინიციატივა და თაოსნობა.

ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს მახარაძის რაიონის მშრომელთა შესანიშნავი ინიციატივა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში. აქ რაისაბჭოს, მისი დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და ფართო აქტივის მონაწილეობით შეადგინეს მშენებლობის სამწლიანი გეგმა, იგი განიხილეს და დაამტკიცეს რაისაბჭოს სესიაზე. პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივი საბჭოები სათავეში ჩაუდგნენ მის პრაქტიკულ განხორციელებას. გამოიყენეს რა არსებული რეზერვები, მარტო ორ წელიწადში (1958-1959 წწ), გარდა სამეურნეო ნაგებობებისა, ააგეს 7 სკოლა, 3 კლუბი, 2 კულტურის სახლი, 7 ბიბლიოთეკა, კოლმეურნეობათა დასასვენებელი 6 სახლი, 8 სამედიცინო პუნქტი და ამბულატორია, 2 აფთიაქი, 24 საბავშვო ბაღი და ბაგა, 11 მაღაზია, გაყვანილია წყალსადენი 8 კილომეტრზე, კეთილმოწყობილია გზები 34 კილომეტრზე, ელექტროფიცირებულია 20 და რადიოფიცირებულია 12 სოფელი, ამავე პერიოდში აგებულია 438 კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინიციატივა ამ რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობისა, რომელმაც საკუთარი სახსრებით მდინარე სუფსაზე ააგო რკინაბეტონის ხიდი. ეს დიდი საქმე აღინიშნა იმით, რომ ხიდის მშენებლები დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

მახარაძის რაიონის მშრომელთა თაოსნობას თართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკის ყველა რაიონული, სასოფლო და საქალაქო საბჭო, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო სახსრებით აგებულ შენობებზე, მარტო 1958-1959 წლებში კოლმეურნეობათა და საზოგადოებრივი შრომითი მონაწილეობით ჩვენს რესპუბლიკაში აშენდა 192 სკოლა, 163 კლუბი, 29 კულტურის სახლი, 111 ბიბლიოთეკა, 13 თეატრი, 52 საავადმყოფო, 57 სამედიცინო პუნქტი და ამბულატორია, 29 აფთიაქი, 88 აბანო, 35 კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლი, ათიათასამდე კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლი და სხვ. ახლად გაყვანილ ან კეთილმოწყობილ იქნა 4.608 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, ელექტროფიცირებულია 505 და რადიოფიცირებულია 392 სოფელი. გაკეთდა წყალსადენის ქსელი 868 კილომეტრზე.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს თელავის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ მახარაძელთა თაოსნობას და აღებულ ვალდებულებას ანაღდებენ არა სამ წელიწადში, არამედ ორ წელიწადსა და რაღაც თვეებში, ხოლო ზოგიერთი სახეობის ვალდებულება კი მათ უკვე დიდი ხანია გაანაღდეს. პირნათლად შეასრულეს აღებული ვალდებულება კულტურის სახლების, აბანოების, კლუბ-კანტორების, სასოფლო მაღაზიების, სასპორტო მოედნების მოწყობისა და 16 სოფლის ელექტროფიცირების შესახებ, ხოლო გადააჭარბეს გზებისა და წყალსადენის გაყვანის სამწლიანი გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს.

მახარაძელთა თაოსნობის პასუხად აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ გორის, ზუგდიდის, ქობულეთის, წითელწყაროს და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელები.

იქ, სადაც სოფლის საბჭო, მისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები და სოფლის აქტივი ნამდვილად ზრუნავენ სოფელზე, მის კეთილმოწყობაზე, შეხვალ სოფელში და გული სიამით გეევსება. მაგალითისთვის ავიღოთ გურჯაანის რაიონის სოფელი ვაზისუბანი. წინათ ეს სოფელი ერთ-ერთი ჩამორჩენილი სოფელი იყო კახეთში და სახელიც ძველი, უკეთმართი ცხოვრების გამომხატველი ჰქონდა და დღეს კი ეს სოფელი ნამდვილი ვაზისუბანი გახდა. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წლიურად ათ მილიონს აღწევს. აქ უკანასკნელ წლებში სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის ძველი აქტივის ხელიხელჩაკიდებული მუშაობის შედეგად აიგო 625-ადგილიანი კულტურის სახლი, აბანო, სასოფლო საბჭოს შენობა, 200-ნომრიანი სატელეფონო სადგური, გამენდა პარკი, კეთილმოწყობილ იქნა გზები 10 კილომეტრზე, ხოლო სოფლის ცენტრის გზებზე დაიგო ასფალტი. აქ არაფერს ვამბობთ ისეთ სამეურნეო ნაგებობებზე, როგორიც არის მარცვლეულის საწყობი ათასი ტონის ტევადობისა, მეცხოველეობის სადგომები და სხვა. ამჟამად სოფელი ამენებს სკოლა-ინტერნატს 880 მოსწავლისათვის, საბავშვო ბაღის შენობას 100 ბავშვისათვის. ასეთი კეთილმოწყობილი სოფლები ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია. საქართველოს ყველა კუთხე ბუნებრივად ყველგან ლამაზია, მაგრამ სოფლის, კუთხის სილამაზეს უფრო სხივმოსილს ხდის ადამიანის მზრუნველი ხელის ჩარევა.

სწორედ ეს მზრუნველი ხელი აკლია ზოგიერთ ჩვენს სოფელს. მახარაძელთა თაოსნობის მარტო აღნიშნული რაიონები როდი გამოეხმაურნენ. მას გამოეხმაურა რესპუბლიკის ყველა რაიონი, და შედეგებიც კარგია. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება ზოგიერთ რაიონზე. ცალკეულმა ადგილობრივმა საბჭოებმა ამ საქმეში სათანადო უნარი ვერ გამოიჩინეს.

მე არ დავასახელებ აქ რაიონებს, მე მგონია ამ რაიონების ხელმძღვანელებმა იციან როგორი მდგომარეობა აქვთ მათ რაიონში და სათანადო დასკვნას გააკეთებენ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებში უყურადღებოდ ტოვებენ დიდი ხნის წინათ დაწყებულ მშენებლობებს და ხელს ჰკიდებენ ახალს. ყოველივე ეს იწვევს საშენი მასალებისა და თანხების დაქსაქსვას. ხშირად თანხებს არ იყენებენ ყაირათიანად. იწყებენ ისეთ მშენებლობებს, რომელნიც არ წარმოადგენენ პირველი რიგის აუცილებლობას, მთავარი კი უყურადღების გარეთ რჩება.

საჭიროა მშენებლობის საკითხები წყდებოდეს დეპუტატების, სოფ

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(გაგრძელება)

მოიპოვება. ოჩამჩირის რაიონის ადგილობრივი მრეწველობა გეგმის შესრულების მიზნით გამოედევნა მხატვრული გალანტერიის წარმოებას და ისიც ნედლეულის შორეული მხარეებიდან (ხარკოვი, პერმი) შემოზიდვის გზით, მაშინ როდესაც აგურის წარმოების გეგმა მხოლოდ 56 პროცენტით შეასრულა. ან კიდევ, ქარელის რაიონში აგურისა და კირის უამრავი და საუკეთესო ხარისხის ნედლეულია. არსებული აგურის საწარმო ვერ უზრუნველყოფს რაიონის მოთხოვნილებას. იმის ნაცვლად, რომ ეზრუნათ აგურის წარმოების გაფართოებაზე, ქარელის რაიაღმასკომმა დაარღვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 28 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ საწარმოებში დროშებისა და ალმების წარმოების მხრივ არსებულ უხეშ დამახინჯებათა შესახებ" და თავისი გადაწყვეტილებით ადგილობრივი მეურნეობის კომბინატთან გახსნა ფერწერის საამქრო. ამ წარმოებისათვის ქარელის რაიონში არ მოიპოვება არავითარი ნედლეული, თუნუქის ფირფიტები მიაქვთ თბილისიდან, ხოლო დანარჩენ ნედლეულსა და მასალებს ყიდულობენ სავაჭრო ქსელში საცალო ფასებით. კიდევ მეტი, წარმოების პროდუქციიაზე მოთხოვნილება არ არის არც ქარელის რაიონში და არც რესპუბლიკაში. ამიტომ პროდუქცია ვაჭრობის სამინისტროს ნებადაურთველად და ფასების დაუმტკიცებლად გააქვთ გასაყიდად რესპუბლიკის გარეთ. მსგავს მაგალითებს შეხვდებით სხვა რაიონებშიც. სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელმძღვანელობის თვალწინ ასეთ საქმეებში ხელს ითბობენ საეჭვო პირები.

ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეულის რესურსები, საჭიროა რაიონული და საქალაქო საბჭოები ღრმად ჩასწვდნენ ადგილობრივი მეურნეობის საწარმოთა საქმიანობას, აღკვეთონ არსებული ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ გაუმჯობესონ და განავითარონ მათი მუშაობა.

როცა მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება რაიმე არ ვთქვათ თვით მშენებელთა კადრებზე. ქალაქად ეს საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია, ხოლო სოფლად ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რაც ქმნის სიძნელეებს. კოლმეურნეობა იძულებულია დაიქირაოს შემთხვევითი პირები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ტყავზე აძრობენ კოლმეურნეობას. უკვე მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ სოფლად საკმაო რაოდენობით გვყავდეს კალატოზები, ბებეტონები, ხეროები, დურგლები, მღებავები, სანტექნიკური და ელექტროტექნიკურ სამუშაოთა კვალიფიციური მუშები. ამისათვის საჭიროა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით მოაწყონ ამ კადრების ინდივიდუალური და ბრიგადული მომზადება.

სკკპ XX ყრილობის მითითებათა შესაბამისად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა იწყეს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა. ამ ორგანიზაციებმა არსებობის მოკლე დროის განმავლობაში დაამტკიცეს სოფლად სამშენებლო საქმეში თავიანთი უპირატესობა ცალკეული კოლმეურნეობების მიერ სამეურნეო წესით წარმოებულ მშენებლობასთან შედარებით. ისინი უფრო ნაყოფიერად იყენებენ მექანიზმებს, მოწყობილობას და, რაც მთავარია, კვალავენ გზას სოფლად ინდუსტრიული ეთოდებით მშენებლობისაკენ. ბევრმა მათგანმა უკვე შექმნა მშენებლობისათვის საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მათ აქვთ აგურ-კრამიტის და კირის კარნენები, საშენი ქვის კარიერები, ხე-ტყის სახერხები და სხვ. ოხატაურის, გეგეჭკორის, ხაშურის, მარნეულის, თფრკოლის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს და ჩხოროწყუს რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებმა გახსნეს საშენი ქვის კარიერები, სადაც წლიურად 26.000 კუბური მეტრი ქვა მუშავდება. გალის ოაიონში ეს ორგანიზაცია ამთავრებს შიფერის ქარხნის მონტაჟს, რომლის წლიური იმძლავრე იქნება 20 მილიონი ალი პირობითი ფილა. 1959 ელს ამ ორგანიზაციებმა შეასრულეს რესპუბლიკის საკოლმეურნეო მშენებლობის ერთი მეოთხედი, ანუ 104 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები. მაგრამ, ამასთან ერთად, სამშენებლო ორგანიზაციის მუშაობის ცუდი მაგალითებიც გვაქვს. იმის გამო, რომ ბათუმის რაიაღმასკომი არაკონკრეტულად ხელმძღვანელობდა რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მუშაობას, ამ ორგანიზაციამ 1959 წელს მშენებლობის გეგმა შეასრულა მხოლოდ 48 პროცენტით და თვითღირებულების გაძვირების შედეგად იზარალა 330 ათასი მანეთი, ანუ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ერთი მეათედი. უკონტროლობის შედეგად ამ ორგანიზაციაში გაიფლანგა 105,9 ათასი მანეთი. ზარალით დაამთავრეს გასული წელი აგრეთვე ცხაკაიას და ჩხოროწყუს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა, ხოლო სტალინირის რაიონში ამ ორგანიზაციამ გასულ წელს სრული უმოქმედობა გამოიჩინა. ადგილობრივი საბჭოების გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივ განავითარონ და გააფართოონ ამ სამშენებლო ორგანიზაციების ქსელი. უკვე დადგა დრო, რომ ამ ორგანიზაციაში ჩაბმულ იქნას რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობა.

დღევანდელ პირობებში მხარდა სასოფლო მშენებლობის უზრუნველყოფა შეუძლებელია მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა და აწყობილი კონსტრუქციების დაუნერგავად. საჭიროა შეიქმნას ასეთ ნაკეთობათა წარმოების ფართო ქსელი სასოფლო მშენებლობისათვის, როგორც ეს მასობრივად ინერგება საქალაქო მშენებლობაში.

ამასთან ერთად ვფიქრობთ, რომ ამჟამად არსებული წესი ცალკეული კოლმეურნეობების მიერ ტყესაკაფებში ხე-ტყის დამზადებისა უკვე მძიმეა. იგი ჩამორჩა იმ დიდ მოთხოვნებს, რასაც თვითონ კოლმეურნეობები განვითარების ამ ეტაპზე აყენებენ, და, ამავე დროს, საზიანოა სატყეო მეურნეობისათვის. საჭიროა ხე-ტყის დამზადებაში განვითარებულ ეს კონცენტრალიზაცია, რომ ეს საქმე ცალკეული კოლმეურნეობებიდან გადავიდეს ერთი ორგანიზაციის გამგეობაში, რაც არსებითად გააუმჯობესებს ხე-ტყით კოლმეურნეობათა მომარაგებას და დაიცავს სატყეო მეურნეობას მტაცებლური ექსპლოატაციისაგან.

ამჟამად ქალაქების გაშენება ჩვენს ქვეყანაში ხდება წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელსაც თითქმის კანონის ძალა აქვს. მაგრამ ამ მხრივ სოფლად ძალზედ ჩამორჩება ეს საქმე, ამიტომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე მომწიფდა საკითხი, რომ სოფლების განაშენიანება ხდებოდეს წინასწარ შედგენილი გეგმით, სადაც სასოფლო ნაგებობათა კომპლექსი გაერთიანებული იქნება მათი დანიშნულების, რელიეფისა და ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მიხედვით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, საპროექტო ორგანიზაციები მოვალენი არიან შეუდგნენ რაიონულ და სასოფლო დაგეგმვას.

ჩვენი სოფლის გარდაქმნა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ ახალი საცხოვრებელი სახლები ავაშენოთ, არამედ იმას, რომ მკვეთრად ავამაღლოთ მისი კეთილმოწყობის დონე, საცხოვრებელ სახლებთან ერთად ავაგოთ სკოლები, საბავშვო ბაღები, კლუბები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც მოემსახურებიან სოფლის მოსახლეობას და მისი ცხოვრების პირობებს გაუთანასწორებენ ქალაქისას. ხშირად რაიაღმასკომები, სასოფლო საბჭოები სოფლის კეთილმოწყობის საკითხებს წმინდა გარეგნული ეფექტური ღონისძიებებით საზღვრავენ და იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ მოაწესრიგონ მთლიანად ქუჩების ქსელი, მათი განათება. უზრუნველყონ მოსახლეობა წყლით და ელექტროენერგიით, თანაბრად გაანაწილონ მომსახურება სოფლის მთელ ტერიტორიაზე.

დროა რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ რაიონული ცენტრებისა და სოფლების განაშენიანება ხდებოდეს სათანადო დაგეგმარების შესაბამისად. ამ მხრივ არქიტექტორთა კავშირმა, მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ საბჭოებს. ამასთან ერთად მათ უნდა შექმნან ეკონომიური და თანამედროვე პირობების შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტები, რომ ინდივიდუალურ მენაშენეებს საშუალება ჰქონდეთ აირჩიონ სასურველი პროექტი. ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარმა სამმართველომ მეტი ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს და მიაღწიოს იმას, რომ მშენებლობა კოლმეურნეობებში ხდებოდეს საერთო პროექტების მიხედვით.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალქალაქის, წალკის, დმანისის რაიონების ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც სათანადო ზომებს არ იღებენ სოფლების დაგეგმვისათვის. აქ მიწურებში მცხოვრებთათვის საცხოვრებელ სახლებს აშენებენ ისე, რომ წინასწარ არ იგეგმება დასახლებული ადგილები. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ამ ღონისძიებებზე იღებს დიდძალ კრედიტებს. იმის ნაცვლად, რომ ადგილობრივი საბჭოები სათაევში ჩაუდგნენ სახელმწიფო კრედიტის დანიშნულებისამებრ და ყაირათიანად ხარჯვის საქმეს, ზოგჯერ თვითონ ქმნიან პირობებს სახსრების დაქსაქსვისათვის. მიმდინარე წელს ახალქალაქის რაიონმა მიწურებში მცხოვრებ კოლმეურნეთა სახლების მშენებლობისათვის მიიღო სახელმწიფო კრედიტი 2,5 მილიონი მანეთის რაოდენობით და იგი გაუნაწილა რაიონის ყველა კოლმეურნეობას, რითაც დაიქსაქსა თანხები და სიმშენებლო ობიექტები. ამან შექმნა სიძნელეები ორგანიზაციულ და ტექნიკურ ხელმძღვანელობაში. პირველი ივნისისათვის აღნიშნული კრედიტიდან არცერთ მანეთი არ იყო ათვისებული.

როცა ვლაპარაკობთ სოფლად მშენებლობებზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სოფლის ინტელიგენციისათვის, კერძოდ ჩამოსული მასწავლებლებისა და ექიმებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობის საქმე, მათი ნორმალური მუშაობისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა, რომ ადგილი არ ჰქონდეს სპეციალისტების დენადობას ამ მიზეზით.

კეთილმოწყობის საქმეში ადგილობრივი საბჭოები ხშირად ვერ იჩენენ საკმაო გამჭრიახობას და სახსრებს უგეგმოდ და არაეკონომიურად იყენებენ. ბევრგან შეხვდებით რაიონის ცენტრებში მდიდრულად გაფორმებულ ლამპიონებს, თუჯისაგან ჩამოსხმულ მოაჯირებს და სხვა ნაგებობებს, რომლებიც დაბალი გემოვნებით არის შესრულებული, თუმცა მათ შესაქმნელად დეფიციტური ლითონი და საკმაო სახსრებია დახარჯული. ასეთი ნაგებობები არასასურველ იერს აძლევენ ზოგიერთ ჩვენს სოფელს და პატარა ქალაქს; ბევრი ამხანაგი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ის, რაც შესაფერისია რუსთაველის პროსპექტისათვის, ხშირად კარიკატურულ სახეს იღებს დასახლებულ პუნქტში. უგემოვნება გამოსჭვივის ბევრი საზოგადოებრივი შენობის გარეთა და შიდა გაფორმებაში. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ცხაკაიას, წალენჯიხის, წითელწყაროს, გეგეჭკორისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. ან კიდევ, შენობის აგებაში დამვებული არ არის ზედმეტობა, მაგრამ მას ადგილი აქვს შემოღობვაში. ხანდახან შედიხარ სოფელში და თვალში გეცემა ვეებერთელა რკინაბეტონის ღობე, რომელიც სიმშვენიერის მიცემის ნაცვლად შნოსა და ლაზათს უკარგავს იქაურობას. ასეთი რკინაბეტონის ღობე ზოგჯერ უფრო მეტი ჯდება, ვიდრე მის შიგნით გაშენებული პარკები თუ ნაგებობები. განა მას არ აჯობებდა ცოცხალი ღობე, რომელიც გაცილებით უფრო იაფი ჯდება და ამასთან უფრო ლამაზია. ვინ უნდა იფიქროს ყოველივე ამაზე, თუ არა სასოფლო საბჭოებმა, მათმა აქტივმა!

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის საკურორტო ადგილებში განშიშიდა უნებართვოდ და უგეგმოდ სახლების მშენებლობის ფაქტები. ეს განსაკუთრებით ითქმის ზღვის სანაპირო კურორტებზე, სადაც საქმე მიდის მიწების სპეკულაციამდეც კი. ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვით ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც ამ საქმისადმი დანაშაულებრივ წაყრუებას იჩენენ!

ამხანაგებო! გზების კეთილმოწყობა, ძათი გამწვანება, ტყისაცავი ზოლების შექმნა, ბუნების დაცვა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მთელი ჩვენი მუშაობის განუყრელი ნაწილია. კეთილმოწყობილი გზა სოფლის კულტურული ყოფის ელემენტარული მოთხოვნაა დღევანდელ ვითარებაში. სოფლის გზები ისე უნდა იყოს გამწვანებული, რომ იგი ნაძვილი ხეივანი იყოს. ჩვენს რესპუბლიკაში არის ყველა საშუალება იმისათვის, რომ გვქონდეს კარგი, კეთილმოწყობილი გზები, თუკი ამ საქმეს ხელს მოკიდებთ ისე, როგორც ამას სამეურნეო და კულტურული მძღვანელობის ამოცანები მოითხოვენ. ანიკებდა რა ყოველივე ამას დიდ მნიშვნელობას, 1958 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი და დადგენილები აღნიშნულ საკითხებზე და იგი გახადა მთელი საზოგადოებრიობის საზრუნავ საქმედ, საყოველთაო-სახალხო საქმედ. ბევრი რამ გაკეთდა როგორც გზების კეთილმოწყობის, ისე ბუნების დაცვის, მინდორსაცავი და ქარსაფარი ზოლების გაშენების საქმეში. გასულ წელს ადგილობრივი გზების მშენებლობა-შეკეთებაზე ენერგიულად იმუშავეს და წარმატებებიც მოიპოვეს აჭარის ასსრ, მახარაძის, სამგორის, წყალტუბოს, ონის, ლანჩხუთის, თელავის, სიღნაღის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონებმა.

სასოფლო, სადაბო და რაიონული საბჭოები უნდა იყონ გზების კეთილმოწყობის, ბუნების დაცვის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები, რადგან ეს ყველა ადამიანის სისხლხორცეული საქმეა.

თანამედროვე სოფელი წარმოუდგენელია, თუ იქ არ არის ელექტრობა, ტელეფონი და რადიო. ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივ დიდად ჩამორჩება ბევრ მოკავშირე რესპუბლიკას. რადიოფიკაციის 1954-1960 წლების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 51 პროცენტით. ბევრი სოფელი და საბჭოთა მეურნეობა მოკლებულია ტელეფონსა და რადიოს. ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვის აკავშირგაბმულობის სამინისტროს, შესაბამის უწყებებსა და ადგილობრივ საბჭოებს. უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ უახლოეს დროში გამოვასწოროთ მდგომარეობა. ბევრმა რაიონმა სწორად გაიგო ამ საქმის დროულად გადაწყვეტის აუცილებლობა და წარმატებებიც მოიპოვა. ამ უკანასკნელ წლებში კარგად იმუშავეს ელექტროფიცირების საქმეში გურჯაანის, სიღნაღის, თელავის რაიონებმა, რომლებმაც უკვე განახორციელეს ყველა სოფლის მთლიანი ელექტროფიკაცია. უდავოდ მოწონების და მხარდაჭერის ღირსია საქართველოს კომკავშირის შესანიშნავი ინიციატივა, რომელიც წამოიწყეს გორელმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. ამ ინიციატივით ახალგაზრდები ვალდებულებას კისრულობენ რაიონების, სოფლების მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის სამუშაოების შვიდწლიანი გეგმა 1963 წელს შეასრულონ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხს პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ამ მხრივ ქალაქად შედარებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს საქმე სოფლად ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. საყოფაცხოვრებო მომსახურების ახლანდელი ქსელი საგრძნობლად ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას, მეტადრე სოფელ ადგილებში. როგორც ცნობილია, ამ საკითხზე საკავშირო და რესპუბლიკურმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა სპეციალური დადგენილება მიიღეს. საჭიროა ადგილობრივმა საბჭოებმა ამ დადგენილების შესასრულებლად ქმედითი ღონისძიებანი გატარონ ქალაქად და სოფლად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ამხანაგო დეპუტატებო!

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ინტერესები მოითხოვს გარდაქმნას არა მარტო მატერიალურ სფეროში, არამედ ადამიანის შეგნებამიც. ჩვენ უკვე შევედით განვითარების ისეთ პერიოდში, როცა მთელი თავისი შინაარსით დაყენებულია ამოცანა — აღვზარდოთ კომუნისტური საზოგადოების შესაფერისი ახალი ადამიანი.

ჩვენს დროს ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის — ეს არის ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისთვისაც. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა ამავე დროს კომუნისტური ზნეობის, ადამიანთა შორის ახალი დამოკიდებულების დამკვიდრების აქტიური პროცესიც არის.

ახალი ადამიანის აღზრდა ნიშნავს იმას, რომ იგი შრომას უყურებდეს არა მარტო როგორც ცხოვრების საშუალებას, არამედ როგორც სულიერ კმაყოფილებას, რომ იგი იყოს ყოველმხრივ განათლებული, კულტურული, მაღალი ესთეტიკური გემოვნების, რომელიც ვერ ურიგდება ამორალურ მოქმედებას და ყოველგვარ უწესრიგობას ადამიანის ყოფაში. ყოველივე ეს ადგილობრივი საბჭოებისაგან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან გულმოდგინე, ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი ესთეტიკური გემოვნების განვითარების საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ კულტურის დაწესებულებები: თეატრები, კინო, ბიბლიოთეკა, კლუბები და მუზეუმები, სახვითი ხელოვნების და მუსიკალური დაწესებულებები.

ჩვენს რესპუბლიკაში კულტურის დაწესებულებათა ფართო ქსელია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო სოფლის მოსახლეობას ემსახურება 2924 კულტურულ-საგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულება. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში და ეს დაწესებულებებიც უფრო დაკავშირებული ხდებიან ცხოვრებასთან. შეიძლება ითქვას, რომ ახლა თითქმის არ არის ისეთი საკლუბო დაწესებულება, სადაც შექმნილი არ იყოს აგიტმხატვრული ბრიგადა და მხატვრული თვითმოქმედების რომელიმე სახეობის წრე. დიდად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის კულტურის დაწესებულებების ურთიერთდამოკიდებულება. ქალაქის კულტურის დაწესებულებები შეფობას უწევენ სოფელს. უკანასკნელ წლებში სოფლის მოსახლეობის მხატვრული მომსახურებისა და მისი ესთეტიკური აღზრდის მიზნით სახელმწიფო თეატრები, მათ შორის რუსთაველის სახელობის, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის და სხვა თეატრები წარმოდგენებს მართავენ ფართო მაყურებელთა წინაშე ღია ცის ქვეშ — მოედნებზე. ეს უდავოდ მოსაწონი და კარგი საქმეა, რომელსაც ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი. ეს ხელს უწყობს მშრომელთა ესთეტიკურ აღზრდას, უღვიძებს მათ მაღალ გემოვნებას, მხატვრული ნაწარმოებებისადმი და ამით სულ უფრო ამაღლებს მასების შეგნებულობის დონეს, აახლოებს ქალაქსა და სოფელს და თანდათანობით უწყობს ხელს მათ შორის არსებითი განსხვავების მოსპობას.

სახელმწიფო თეატრების მუშაობის ახლო გაცნობამ ხელი შეუწყო თვით ხალხის ინიციატივით წარმოშობილიყო სახალხო თეატრები. ეს არის ჩვენი ხალხის კულტურული დონის ამაღლების დიდი დადასტურება. მაგალითად, ლანჩხუთის სახალხო თეატრის მუშაობაში მონაწილეობენ კოლმეურნე მეჩაიეები, მწველავები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ჩაის ფაბრიკების მუშები.

დღეისათვის რესპუბლიკის 22 საკლუბო დაწესებულებასთან ჩამოყალიბებულია სახალხო თეატრი, ხოლო ქუთაისის საქალაქო კულტურის სახლთან შეიქმნა სახალხო ოპერა, რომელიც პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სსრ კავშირში. სახალხო ოპერის სცენაზე წარმატებით დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი" და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე".

თავისი არსებობის ხანმოკლე დროის განმავლობაში სახალხო თეატრები ისეთ შემოქმედებითს სიმაღლეზე ავიდნენ, რომ თანდათანობით მცირდება ხელვარი პროფესიული და მუშა და კოლმეურნე მსახიობებს შორის.

ახლა მთავარია სახალხო თეატრის სცენაზე იდგმებოდეს ისეთი პიესები, რომლებიც მშრომელებს, ახალგაზრდობას აღზრდის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და საბჭოთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით. ადგილობრივი საბჭოების მოვალეობას შეადგენს ამ მხრივ გააძლიერონ კონტროლი და დახმარება სახალხო თეატრებისადმი.

ჩვენს დღევანდელ ყოფაში ახალია კულტურის უნივერსიტეტების შექმნა, რაც დიდ როლს ასრულებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი ესთეტიკური გემოვნების ამაღლების საქმეში.

ამჟამად რესპუბლიკის კულტურის უნივერსიტეტებში ხუთი ათასამდე მსმენელი მეცადინეობს. კულტურის უნივერსიტეტებთან არსებობს ლიტერატურის, მუსიკალური, თეატრალური, კინო და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტები. საინტერესოა ის, რომ კულტურის უნივერსიტეტები იქმნება სოფელ ადგილებშიც. ამ საქმეში უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა აქტივმა, რომლებმაც ინიციატივა გამოიჩინეს, პირდაპირ ითავეს, რომ სოფელში ყოფილიყო კულტურის უნივერსიტეტი.

კულტურის უნივერსიტეტების მუშაობა იმითაც არის კარგი, რომ აქ მსმენელები თეორიულ კურსთან ერთად ისმენენ მუსიკას, ნახულობენ სპექტაკლებს, მხატვართა ნაშუშევრებს, დოკუმენტურ და მეცნიერულ ფილმებს, აწყობენ სპექტაკლის საზოგადოებრივ განხილვას, მსმენელთა შეხვედრებს მწერლებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან და მსახიობებთან.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრ რაიონში სადაც ყველა პირობებია კულტურის უნივერსიტეტების შესაქმნელად, ამაზე ნაკლებად ზრუნავენ.

უკანასკნელ დროს საკლუბო დაწესებულებებთან შეიქმნა კინომოყვარულთა წრეები. თავისი შინაარსიანი მუშაობით გამოირჩევა მახარაძის რაიონის ლიხაურის სასოფლო კულტურის სახლთან არსებული კინომოყვარულთა წრე, რომელმაც გადაიღო ორნაწილიანი კინოფილმი „ჩვენი სოფელი", იგი წარდგენილ იყო კინომოყვარულთა საკავშირო გასინჯვაზე, სადაც მიიღო დიპლომი, პრემია და სახელწოდება — „ლიხაურფილმი". 1959 წელს „ლიხაურფილმმა" შექმნა მეორე კინოფილმი „შვიდწლედის გარიჟრაჟზე", ხოლო ამჟამად მუშაობს კინოფილმის „შრომისა და სიმღერის აღამიანების" გადაღებაზე. აი სადამდე ავიდა ჩვენი სოფელი: კინოფილმი იქმნება არა მარტო ჩვენს კინოსტუდიაში, არამედ სოფლებშიც.

დღევანდელ სოფელში იქმნება არა მარტო კულტურის უნივერსიტეტები და სახალხო თეატრები, არამედ თვითმოქმედი მუზეუმებიც, სახელმწიფო მუზეუმების გვერდით, რომლებშიც ჩაქსოვილია ამ სოფლის აწმყო და მომავალი. ამ პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი მუზეუმების მიზანია წარმოების ნოვატორთა და რაციონალიზატორთა მიღწევების პოპულარიზაცია.

რაც დრო გადის, სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება სოფლად ბიბლიოთეკების მუშაობა. ჩვენში ბევრია ისეთი ბიბლიოთეკა, რომლებიც ცოცხლად, საინტერესოდ აწყობენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდას და ამით ხელს უწყობენ შვიდწლედის ამოცანების განსახორციელებლად მშრომელი მასების დარაზმვას. ისინი ფართოდ იყენებენ მკითხველებთან წიგნის მიახლოების ყველაზე აქტიური ფორმებს, მიაქვთ ლიტერატურა უშუალოდ იქ, სადაც წყდება მატერიალური დოვლათის წარმოების ბედი და ამით ფართოდ ეწევიან წიგნის პროპაგანდას, მშრომელთა ფართო მასებში აღვიძებენ წიგნისადმი, ადამიანის ამ სულიერი პურისადმი სიყვარულს. მაგრამ ეს როდი ითქმის ყველა ბიბლიოთეკაზე. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ბიბლიოთეკის წიგნები გულმოდგინედ შეფუთული აუთბებში ინახება და მუშები მოკლებული არიან წიგნით სარგებლობის საშუალებას, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იშვიათი როდია, ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ბიბლიოთეკების მუშაობა, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველყოფილ იქნას ყველა დასახლებული პუნქტი, ყველა ოჯახი საბიბლიოთეკო მომსახურებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით კინო მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ცხოვრებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ომამდელ პერიოდთან შედარებით საქართველოში კინოქსელი ხუთჯერ გაიზარდა. ამჟამად რესპუბლიკის კინომუშაკები ფართოდ იყენებენ მოსახლეობის კინომომსახურების მრავალფეროვან ფორმებს, სისტემატიურად ტარდება მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტური კინოფილმების ჩვენება, ცალკეული საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალები.

მაგრამ მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებანია. მცირეა კინოფილმებზე მაყურებელთა დასწრება. ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები ხშირად კმაყოფილდებიან მხოლოდ საწარმოო-საფინანსო გეგმების საერთო მაჩვენებლებით და ურიგდებიან ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარეეზებს.

ვანის რაიონში 36 დასახლებული პუნქტიდან კინოს ჩვენებისათვის შესაფერი ბინა აქვს მხოლოდ 16 სოფელს; ამ რაიონში 20 დასახლებული პუნქტი კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი, ქარელის რაიონის 43 დასახლებული პუნქტიდან კინოსურათებს ეო უჩვენებენ 25 სოფელში. ანალოგიური მდგომარეობაა კასპის, საგარეჯოს, ამბროლაურის, ახალქალაქისა და ონის რაიონებში.

ამასთან არ შეიძლება არ ითქვას, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, კინოსტუდია „ქართული ფილმი" ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ჩვენი სოფლის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს, კინოფილმები თავიანთი იდეურობით და მხატვრული დონით უნდა შეესაბამებოდნენ საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნებს, მკაფიოდ ასახავდნენ ჩვენი სინამდვილის უმნიშვნელოვანეს ამბებსა და მოვლენებს. კინოხელოვნების დარგის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მიერ შექმნილ მხატვრულ ტილოებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი გმირების მაგალითები ზეგავლენას ახდენენ მაყურებელზე.

ცხადია, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში მოპოვებულია დიდი წარმატებები, მაგრამ, ამასთან ერთად, მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი საბჭოები ყველგან საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას როდი უწევენ ამ დაწესებულებათა მუშაობას და ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგჯერ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა წარმოებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ამოცანებისაგან მოწყვეტით, ცხოვრებასთან კავშირის გარეშე.

ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ ადგილობრივი საბჭოები ამ დაწესებულებებში ხშირად სამუშაოდ გზავნიან ისეთ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ამ საქმის არც ცოდნა და არც მისადმი მიდრეკილება. მაგალითად, სტალინირის საოლქო ბიბლიოთეკის დირექტორი ოთხი წლის განმავლობაში ოთხჯერ შეიცვალა. არცერთ მათგანს არ ჰქონდა შესაბამისი განათლება, და ეს მოხდა ბიბლიოთეკების, ჩაიფაბრიკების, ტექნიკუმების, ბიბლიოთეკების, ბიბლიოთეკების განვითარებაც. ზოგან ყრილები და კოლექტივები მცირერიცხოვანია თავისი შემადგენლობით და მათი საქმიანობა მხოლოდ საადღესასწაულო კონცერტების ჩატარებით განისაზღვრება. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ასპინძის, თიანეთის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო კლუბებში.

ზოგიერთი რაიონის ადგილობრივი საბჭოების დაუდევრობა იქამდეც მიდის, რომ არსებული კლუბები გამოყენებულია სხვა დანიშნულებისათვის. მაგალითად, ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთის კლუბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობად არის გადაქცეული. ასევე დიდი ხანია კოლმეურნეობის საწყობის დიდი კლიტე ადევს ქარელის რაიონის ძევისა და ჯვაროის, ხაშურის რაიონის იტრიის სასოფლო კლუბებს, ხოლო ღმანისის რაიონის ჯავახის სასოფლო კლუბის შენობის ნაწილი გადაქცეულია კოოპერატივის საწყობად.

ზოგიერთი რაიონის საკლუბო დაწესებულებები უყურადღებოდ ტოვებენ ათეისტურ პროპაგანდას, რის გამო ადგილი აქვს რელიგიურ ცრურწმენათა გამოცოცხლებას. სამწუხაროდ, როცა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების მიღწევებმა მსოფლიო გააოცა, როცა ჩვენი მეცნიერები სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებიან კოსმოსის საიდუმლოებაში, ჩვენში აქა-იქ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც სწამთ რაღაც იმ ქვეყნიური. საჭიროა ადმინისტრაციული ზომები კი არ მივიღოთ ამ ადამიანების წინააღმდეგ, არამედ ვაწარმოოთ მათთან ფართო ახსნა-განმარტებით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(დასასრული)

რივი საბჭოები და კულტურის სამინისტრო.

რამდენიმე სიტყვა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ. როგორც ცნობილია, საქართველო მდიდარია უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა არქიტექტურული და მხატვრული ოსტატობით შესრულება მნახველებს აოცებს.

1959 წლის იანვარში შეიქმნა საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომლის მიზანია ყოველმხრივ შეიწყოს ხელი კულტურის ძეგლთა გამოვლინებას, დაცვას და მეცნიერულ შესწავლას.

საქართველოში ბევრი ადგილობრივი საბჭო დიდი გულისხმიერებით ეპყრობა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას, მაგრამ ბევრგან მათზე ნაკლებად ზრუნავენ. ამიტომ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან კულტურის ძეგლთა დაზიანების შემთხვევებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი. ჩოხატაურის რაიონის განახლების კოლმეურნეობამ 1957 წელს ააფეთქა ამაღლების სამონასტრო იკლესია, რომელიც საშუალო საუკუნეებში იყო აგებული, ხოლო ამჟამად ნახევრადგამოქვაბული სამონასტრო იკლესიის „უდაბნოს“ მახლობლად გახსნილია ქვის კარიერი, რაც დანგრევას უქადის ამ მნიშვნელოვან ძეგლს.

ადგილობრივი საბჭოების, ყველა მოქალაქის მოგალეობას შეადგენს გაუფრთხილდეს და დაიცვას ისტორიული ძეგლები.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დროულად, საჭირო დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევს ამ დაწესებულებებს კულტურის სამინისტრო. იმ დიდ მუშაობასთან ერთად, რასაც სამინისტრო ეწევა, ჯერ კიდევ ამ მხრივ მუშაობაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გაჩნია. საჭიროა სამინისტრომ მეტი ყურადღება დაუთმოს სოფლად მუშაობას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის მიერ სახალხო განათლების მთელი სისტემის ძირეული გაუმჯობესებისათვის შემუშავებული ღონისძიებანი ახალ ეტაპს ქმნის საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში. ახლა პრაქტიკულად იწყება იმ დიდი ამოცანის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს „აღზრდის შეერთებას მატერიალურ წარმოებასთან“. სწორედ სწავლების მატერიალურ წარმოებასთან შეერთების ამოცანა მოითხოვს ადგილობრივი საბჭოებისაგან რაც შეიძლება მეტი მზრუნველობა, დახმარება გაუწიონ საბჭოთა სკოლას, მის პედაგოგიურ პერსონალს მოსწავლეთა აღზრდის, მათში დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის მარტო საბჭოების სახალხო განათლების მუდმივი კომისიების მუშაობა. ეს საქმე თავის ხელში უნდა აიღონ მთელმა საზოგადოებრიობამ და პირველ რიგში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა. სკოლებს უნდა შეუქმნათ მატერიალური ბაზა და ყოველმხრივ უზრუნველყოთ ისინი გამობობით, განათვით და სამუშაო ადგილებით პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

სასკოლო განათლების სისტემაში, ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში თავის უპირატესობას დღითიდღე ცხადყოფენ სკოლა-ინტერნატები. ამიტომ ადგილობრივი საბჭოების მოგალეობას შეადგენს ყოველმხრივ დაეხმარონ სკოლა-ინტერნატებს როგორც ახალს, მზარდს და დიდი მომავლის მქონე სასკოლო დაწესებულებას.

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება, მიმართულია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისაკენ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს ზრუნვა ადამიანებზე ჩანს ყველაფერში. და ეს ზრუნვა განსაკუთრებით ჩანს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სოფლად და ქალაქად დღითიდღე უმჯობესდება სამედიცინო მომსახურება.

როცა ვლაპარაკობთ სოფლად კულტურულ მშენებლობაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზოგან სოფლად ექიმების ნაკლებობას. თუკი საერთოდ ექიმთა კადრების სიმცირე საქართველოში არ იგრძნობა, რესპუბლიკაში არის ისეთი რაიონები, სადაც ათობით არის ექიმთა ვაკანტური ადგილები. ამ საქმეში უდავოდ ბრალი მიუძღვის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელიც წლების განმავლობაში ვერ აკმაპლექტებს საქართველოს მთაგორიან რაიონებში ზოგიერთი სოფლის საექიმო უბნებს ექიმებით. მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საბჭოები სათანადო პირობებს არ უქმნიან ჩასულ ექიმებს. ზოგჯერ ჩასულ ექიმს ნორმალური მუშაობის ელემენტარული პირობებიც არა აქვს. ეს კი ყოვლად მოუთმენელია.

დიდი ნაკლოვანებებია ზოგიერთ სოფელში ჯანმრთელობის დაცვის, განსაკუთრებით სანიტარული მდგომარეობის დაცვის მხრივ. სოფელ ადგილებში ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს აბანოების მშენებლობა. ამასთან ერთად ზოგან სოფლებში არადანიშნულებისამებრ იყენებენ არსებულ აბანოებს. მაგალითად, წალენჯიხის რაიონში სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული აბანოების მშენებლობა კოლმეურნეობებში დღემდე არ არის დაწყებული, ხოლო არსებულიც გამოუყენებელია. ამ რაიონის სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა იხვებისადმი და ტიპური პროექტით აგებული აბანო მათ დაუთმო, ხოლო სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აბანო გამოიყენეს მინერალური სასუქების საწყობად. წალენჯიხელებს ამ საქმეში არც მცხეთელები ჩამორჩნენ. სოფელ საგურამოში აბანო საქათმედ აქციეს, ხოლო ცხაკაიას ზოგიერთ კოლმეურნეობაში აბანოები სილოსის ჩასადებად გამოიყენეს. ასეთ მდგომარეობას ადგილობრივი საბჭოები არ უნდა ურიგდებოდნენ.

ამხანაგო დეპუტატებო!

ადგილობრივი საბჭოები უნდა ზრუნავდნენ არა მარტო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, არამედ საბჭოთა დემოკრატიის ფორმების შემდგომი სრულყოფისთვისაც. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოებმა სრულად გამოიყენონ მათთვის კონსტიტუციითა და დებულებით მინიჭებული უფლებანი. რეგულარულად უნდა იწვევდნენ საბჭოს სესიებს, სადაც უნდა განიხილავდნენ აღმასკომებისა და შესაბამისი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს. ყოველ სესიაზე აღმასკომი უნდა მოახსენებდეს დეპუტატებს, თუ როგორ შესრულდა წინა სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და როგორ მუშაობდა აღმასკომი სხვა ძირითად საკითხებზე.

ჯერ კიდევ ბევრი ადგილობრივი საბჭო და მისი აღმასკომი არ ემყარება მშრომელთა ფართო აქტივს, ცუდად არის დაკავშირებული მოსახლეობასთან. აღმასკომებისა და მათი განყოფილებების ხელმძღვანელები იშვიათად გამოდიან მშრომელთა წინაშე მოხსენებებით საბჭოების მუშაობის შესახებ, გულდასმით არ განიხილავენ მშრომელთა წინადადებებს და წერილებს, რის გამო ბევრი მათი კანონიერი მოთხოვნა გადაუჭრელი რჩება.

საბჭოთა დემოკრატიის პრინციპები მოითხოვენ დეპუტატების სისტემატურ შეხვედრას ამომრჩევლებთან, დეპუტატების მიერ ანგარიშების ჩაბარებას. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან ბაგრის რაიონის სასოფლო საბჭოები. ამასთან იშვიათი როდია, რომ დეპუტატი წინასაარჩევნო კრების შემდეგ ერთხელაც არ ხვდება ამომრჩევლებს. გასულ წელს შუახევის რაიონის სასოფლო საბჭოს დეპუტატების საერთო რაოდენობის თითქმის მესამედს ანგარიში არ ჩაუბარებია, ხოლო რაისაბჭოს დეპუტატებიდან — მეხუთედს. მსგავსი მდგომარეობაა ახმეტის, ახალქალაქის, გუდაუთისა და წითელწყაროს რაიონებში.

საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში, მასებთან ყოველდღიური კავშირის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ მუდმივ კომისიებს. ბევრ საბჭოში მუდმივი კომისიები ნაყოფიერად მუშაობენ, ხოლო ზოგან ისინი უმოქმედობას იჩენენ. ლენინგორის რაიონში ათი სასოფლო საბჭოა, აქედან ცხრა სასოფლო საბჭოს მიმდინარე წელს ერთხელაც არ მოუსმენია სესიებზე მუდმივი კომისიების მუშაობა.

საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული აღმასკომების მუშაობის სწორ ორგანიზაციასა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. ცოტა როდია იმის ფაქტები, რომ აღმასკომები იღებენ უამრავ გადაწყვეტილებებს. მაგრამ როგორ შესრულდა ან როგორ მიმდინარეობს მათი შესრულება, ამაზე თავს ნაკლებად იწუხებენ. მაგალითად, შუახევის რაისაბჭოს აღმასკომმა 1959 წლის იანვრიდან მიმდინარე წლის 1 ივნისამდე განიხილა 829 საკითხი, აქედან 1959 წლის 27 აპრილს აღმასკომის სხდომაზე — 48 საკითხი. ეს ამ დროს, როდესაც შესრულების შემოწმებას აღმასკომი ყურადღებას არ აქცევს.

სახელმწიფო აპარატის ორგანოთა მთელი რიგი ფუნქციები თანდათანობით გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციების — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ხელში. აკიღოთ თუნდაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში პარტიის მითითებათა განხორციელებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, ადგილებზე, თითქმის ყველგან საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ სახალხო რაზმეულები, რომელთა შემადგენლობა დღითიდღე იზრდება. იქ, სადაც სწორად გაიგეს ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე მოწოდების სიმაღლეზეა.

მაგრამ ბევრგან ადგილობრივი საბჭოები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეს. ამიტომ ზოგან დანაშაულობანი და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევები კი არ მცირდება, არამედ პირიქით. მაგალითად გასული წლის პირველი ოთხი თვის მდგომარეობას თუ შევადარებთ მიმდინარე წლის ოთხი თვისას, სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიცხვი გაიზარდა დმანისის, ტყიბულის, მცხეთის, ცაგერის რაიონებში, ხოლო წალენჯიხის რაიონში იგი გადიდდა ორჯერ და უფრო მეტად.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდებიან ამორალური ქცევის პირები, უქნარა ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავი აარიდონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას. საჭიროა ასეთი ადამიანების მიმართ შევქმნათ შეუწყნარებლობისა და აქტიური საზოგადოებრივი ზემოქმედების ვითარება. ადგილობრივი საბჭოების ვალია შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას უვითარებდნენ ყველა საბჭოთა ადამიანს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ ისინი ჩავაბათ შრომაში. დაუცხრომელი ბრძოლა ვაწარმოოთ წარსულის მავნე გადმონაშთებთან: მომხვეჭობასთან, ხულიგნობასთან, ლოთობასთან და სხვა ამორალურ ქცევასთან.

კომუნისტური პარტიის ძლევამოსილება, კომუნისტური პარტიის ძლიერება მასებთან კავშირშია, რასაც იგი ძირითადად საბჭოების მეშვეობით ახორციელებს. „...საბჭოები წარმოადგენენ თვით მასების **უშუალო** ორგანიზაციებს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — ესეიგი მასების **ყველაზე უფრო დემოკრატიულ** და, მაშასადამე, ყველაზე უფრო **ავტორიტეტულ** ორგანიზაციებს, რომელნიც მაქსიმალურად უადვილებენ მათ მონაწილეობის მიღებას ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში, მის მმართველობაში და მაქსიმალურად ავითარებენ მასების რევოლუციურ ენერგიას, ინიციატივას და შემოქმედებით ნიჭს“...

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლი და ავტორიტეტი იზრდება და ვითარდება ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ზრდასთან, განვითარებასთან ერთად. სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები სულ უფრო გადადის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებზე, იზრდება მათი უფლებები. ხელმძღვანელი ორგანოები ამჟამაც მუშაობენ იმისათვის, რომ შემდგომ გაფართოონ ადგილობრივი საბჭოების უფლებანი, რასაც თვითონ ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განვითარების ობიექტური პირობები გვიკარნახებენ. ზოგიერთ მათგანზე მინდა მოგახსენოთ. უკვე მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები საქმიან მონაწილეობას იღებდნენ მათ ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების საწარმოო-საფინანსო გეგმებისა და წლიური ანგარიშების შედგენა-განხილვაში. ადგილობრივი საბჭოების აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში ხელს შეუწყობს შიდა რეზერვების სრულად გამოვლინებას და მათ მაქსიმალურად გამოყენებას. ასევე გათვალისწინებულია, რომ სხვადასხვა დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფა არ ხდებოდეს სასოფლო და სადაბო საბჭოების უნებართვოდ, ე. ი. მიწების სწორად გამოყენებაში უშუალო პასუხისმგებლობა დაეკისროთ სასოფლო და სადაბო საბჭოებს. ეს კი მოგვცემს საშუალებას აღვკვეთოთ მიწების დატაცება-განიავების შემთხვევები და მეტი წესრიგი დავამყაროთ ამ საქმეში.

ასევე დიდდება სასოფლო და სადაბო საბჭოების პასუხისმგებლობა სოფლად დაგეგმარებასა და მშენებლობაში.

როგორც ხედავთ, სულ უფრო და უფრო იზრდება ადგილობრივი საბჭოების უფლებები, იზრდება პასუხისმგებლობაც. ეს კი მოითხოვს ადგილობრივ საბჭოებში გვყავდეს უნარიანი კადრები. რომლებიც შეძლებენ წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები. ამჟამად რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში ძირითადად მუშაობენ გამოცდილი, უნარიანი კადრები. სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა უმრავლესობას უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველგან გვყავდეს კვალიფიციური კადრები, რომლებიც საქმით გაამართლებენ ხალხის დიდ ნდობას. მათ ყოველმხრივ უნდა შევუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები, უზრუნველვყოთ სასოფლო საბჭოების აღმასკომები შესაფერისი შენობებით, ამასთან ერთად საჭიროა ვიფიქროთ სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაკების მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე.

ჩვენს მოვალეობას შეადგენს მზრუნველობა და მეშაობაში ყოველდღიური დახმარება გავუწიოთ სასოფლო და სადაბო საბჭოებს, ყოველმხრივ ავამაღლოთ მათი ავტორიტეტი. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ყურადღებით მოეკიდებიან რაიონის, ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები სასოფლო საბჭოების საქმიანობას. ცოტა როდია შემთხვევები, როცა ჩასული ხელმძღვანელი მუშაკი, მათ შორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეც ცალკეულ საკითხებს წყვეტენ კოლმეურნეობის გამგეობის კანტორაში და არც კი შეიკრიბენ სასოფლო საბჭოში, არ ესაუბრებიან სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, არ ამყარებენ საქმიან კავშირს საბჭოს აქტივთან.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ოპერატიულად მოაწყობენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები მათთვის დაქვემდებარებული ადგილობრივი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას. საჭიროა მათ მკვეთრად გაუმჯობესონ მუშაობა და უზრუნველყონ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ აღძრული საკითხების დროულად გადაწყვეტა. ამ მხრივ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი და მეტი დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს.

სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათაგან მე მხოლოდ ზოგიერთს შეეხე. ამოცანები კი ძალიან ბევრია.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს მშრომელები, მთელი საზოგადოებრიობა შრომითი ენთუზიაზმით ემზადებიან ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავის ზეიმისათვის. ქალაქად და სოფლად გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად. ჩვენი დედაქალაქის თბილისის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს იუბილეს დღისათვის გეგმის ზევით ჩაბარონ 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ასევე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ქართველმა მეფოლადეებმა თუ მეჩაიეებმა, ფეიქრებმა თუ მეშახტეებმა. რესპუბლიკის კომკავშირი და ახალგაზრდობა აწყობენ ლაშქრობას სასოფლო გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. ყველას სურს შრომითი საჩუქრებით შეხვდეს ზეიმს და ამით საკუთარი წვლილი შეიტანოს სახალხო მეურნეობის განვითარების დიად საქმეში. ზეიმისათვის მზადება ისე უნდა მოვაწყოთ, რომ შევქმნათ რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათი, ვამრავლოთ და სრულყოთ ჩვენი წარმატებები კულტურის ფრონტზე. ყოველი ქალაქი, დაბა, სოფელი უნდა იყოს სანიმუშო არა მარტო სამეურნეო მაჩვენებლებით, არამედ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგით. სისუფთავით, კეთილმოწყობით. მთელი თავის კულტურული ყოფით. რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ თვითეული სოფელი, ქალაქი ამ საყოველთაო ზეიმზე ამაყობდეს თავისი წარმატებებიდ.

ამხანაგო დეპუტატებო!

ეჭვი არ არის, რომ დღევანდელ სესიაზე ამ საკითხის განხილვა და დეპუტატების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები, დადგენილება, რომელსაც სესია მიიღებს, დიდად გამოაცოცხლებს და გააუმჯობესებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობას, კიდევ უფრო აშკარა გახდა, თბილისელთა შეცდომა შემადგენლობა აქტიურად მოქმედებდა. ანგარიში განუწყვეტლივ იზრდებოდა და ქულათა განსხვავებამ 50-ს მიაღწია. თბილისელებმა გაამარჯვეს ანგარიშით 87:37.

მორიგ შეჯიბრებას ინგლისელი კალათბურთელები გამართავენ ლენინგრადსა და მოსკოვში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბიულეტენი

დეკუმენტები, ცნობები, მიმოხილვა

ცხოვრება

დოქტორ დიუბუას მიანდეს საერთაშორისო ლენინური პრემია

ვაშინგტონი, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის შეერთებული შტატების საელჩოში საზეიმო ვითარებაში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა გამოჩენილ ამერიკელ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დოქტორ უილიამ ე. ბ. დიუბუას, რომელსაც ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

საბჭოთა საელჩოს დარბაზში ამერიკის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი [illegible] ლენინური პრემიის ლაურეატს გულითადად მიესალმა სსრ კავშირის [illegible] ელჩი [illegible] ბატონ [illegible] ლენინური პრემიის ლაურეატს. [illegible] ბ. ბ. [illegible] ნოვსკი. მთელი თავისი სიცოცხლე, თქვა მან, დოქტორმა დიუბუამ მიუძღვნა ყველა ადამიანის თავისუფლებისათვის, თანასწორობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს.

უილიამ დიუბუასათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭების შესახებ კომიტეტის დადგენილების გამოცხადების შემდეგ მ. ნ. სმირნოვსკიმ დაჯილდოებულს გადასცა ოქროს მედალი და დიპლომი და წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოღვაწეთა ჯგუფის მისალოცი დეპეშები, რომლებიც ლაურეატის სახელზე მოვიდა.

ბაგშვებმა დიუბუასა და მის მეუღლეს ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

დარბაზში შეკრებილ ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სახელით საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს გულთბილად მიესალმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე მხატვარი როკუელ კენტი, რომელმაც მკაფიოდ დაახასიათა მისი შესანიშნავი მოღვაწეობა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა უილიამ დიუბუამ, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ.

ამერიკელი ჯაშუში № 1 მიემგზავრება ბონში

ბონი, 23 ივნისი. (საკდესი). ბონში ამერიკის სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის ალენ დალესის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით „დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „დოიჩე ფოლკსციტუნგამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ამბობს ამ ვიზიტის ნამდვილ მიზნებს. გაზეთს მოაქვს ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ ევროპაში მოგზაურობის დროს ალენ დალესს „სურს განიხილოს კომუნისტური ქვეყნებიდან ინფორმაციის მოპოვების მეცადინეობის კოორდინაციის ღონისძიებანი“. „უ-2“ თვითმფრინავის ფრენის წარუმატებლობისა და იაპონიაში დემონსტრაციების შემდეგ, — წერს გაზეთი ამასთან დაკავშირებით, — ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელს ფედერალური მთავრობა მიაჩნია განსაკუთრებით შესაფერის და მორჩილ ხელისშემწყობად.

„დოიჩე ფოლკსციტუნგი“ აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოლაპარაკების დროს ალენ დალესის თანამგზავრად პარტნიორი იქნება ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შეფი ჰელენი, რომელიც ჯერ კიდევ 1945 წელს თანამშრომლობდა ამერიკის დაზვერვაში. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მოლაპარაკება თავისთავად წარმოადგენს „საფრთხეს ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთათვის“. ამასთანავე გაზეთი იმოწმებს ამერიკული გაზეთის „ფოლ-სტრიტ ჯორნელის“ ცნობას იმის შესახებ, რომ პენტაგონის ხელმძღვანელი წრეები დაჟინებით მოითხოვენ განახლდეს ჯაშუშური ფრენა საბჭოთა კავშირის თავზე და რომ ასეთ ფრენას, შესაძლოა ამერიკელებთან ერთად განახორციელებენ საბჭოთა კავშირის მეზობელი სახელმწიფოებიც, რომელთა განკარგულებაში ამერიკის შეერთებული შტატები გზავნიან ჯაშუშურ თვითმფრინავებს.

გაზეთი „დოიჩე ფოლკსციტუნგი“ გაფრთხილებას იძლევა, რომ საშიშია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკელთა ჯაშუშობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობა. გაზეთი იხსენებს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი საპასუხო დარტყმას მიაყენებს იმ აეროდრომებს, რომლებსაც გამოიყენებენ სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ჯაშუშური ფრენისათვის. არ შეიძლება უგულებელყოთ ეს გაფრთხილება, — წერს გაზეთი, — მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრმა ხრუშჩოვმა სულ ახლახან გამიერთა ეს გაფრთხილება რუმინელ კომუნისტთა პარტიულ ყრილობაზე.

საბჭოთა მთავრობის ნოტა პაკისტანის მთავრობისადმი

22 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. მ. პუშკინმა პაკისტანის ელჩს მოსკოვში ა. ჰილალის გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა იმის თაობაზე, რომ პაკისტანმა თავისი ტერიტორია დაუთმო ამერიკის ავიაციას სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების განსახორციელებლად. ეს ნოტა გაიგზავნა პაკისტანის მთავრობის 24 მაისის პასუხთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის 18 მაისის საპროტესტო ნოტაზე.

პაკისტანის მთავრობამ, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტაში, აღიარა ფაქტი, რომ პაკისტანის ტერიტორიაზე ბაზა აქვს ამერიკის ლოკჰიდ „უ-2“ ტიპის თვითმფრინავს და რომ ეს თვითმფრინავი იქიდან გამოფრინდა საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში. ფაქტები სრული სიცხადით მოწმობენ, რომ ამერიკის თვითმფრინავს 27 აპრილიდან 1 მაისამდე პაკისტანის ტერიტორიაზე ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემოსაჭერად პაკისტანის ხელისუფალთა ხელისშეწყობით და პაკისტანის მთავრობამ ამით იკისრა ამ საქმეში თანამონაწილის როლი.

სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნულია ნოტაში, ადასტურებს თავის პოზიციას, რომელიც მან ჩამოაყალიბა თავის 18 მაისის ნოტაში და კვლავ აცხადებს, რომ თუ მომავალშიც მოხდა თვითმფრინავთა პროვოკაციული ფრენა პაკისტანის ტერიტორიიდან სსრ კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდება საბჭოთა ხალხის უშიშროების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი, დარტყმებიც კი მიაყენოს იმ ბაზებს, რომლებიც გამოყენებულ იქნება ასეთი ფრენის მოსაწყობად. (საკდესი).

საბჭოთა დელეგაცია განაში გაემგზავრა

24 ივნისს „ილ-18“ თვითმფრინავით განის მთავრობის მიწვევით მოსკოვიდან აკრას გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია. იგი მონაწილეობას მიიღებს დღესასწაულში განის რესპუბლიკის გამოცხადების გამო, რომელიც გაიმართება 1960 წლის 1 ივლისს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წევრი დ. დ. დეგტიარი. (საკდესი).

საბჭოთა დელეგაცია კონგოში გაემგზავრა

24 ივნისს დილით „ილ-18“ თვითმფრინავით მოსკოვიდან ლეოპოლდვილს გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დღესასწაულში კონგოს დამოუკიდებლობის გამო. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რ. რახმატოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ი. გ. კორეგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. შევდოვი. (საკდესი).

ბონი, 23 ივნისი.

ბონი, 23 ივნისი. (საკდესი). ბონში ამერიკის ელჩ ედვარდ ტეილორ ბალეტის ხელმძღვანელ ალექსანდრ გორსკისა და ბალეტმეისტრ ალექსეი ფედორცოვის ბინაზე ბინა ალექსეი ფედორცოვი ... ბალეტმეისტრ ... ბინა ... ბინა ... ბინა